ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №46

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გეენცაძე, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, მანუჩარ მახათაძე.

მოწვეულები: გ. ჭანკვეტაძე, დ. ბაირამაშვილი, ა. ბლიაძე, გ. მირიანაშვილი, გ. გურული, დ ჩუბინიძე, ნ. გლოველი, ზ. სოლომნიშვილი, დ. მაღრაძე, ალ. მიქაძე, ვ. გამრეკელი, ზ. გიგაური, თ. მურვანიძე, რ. ტყემალაძე, გ. აფრიაშვილი, ლ. აფრიაშვილი, ლ. ოქროპირიძე, ილ. ხავთასი, გ. ჯავშიშვილი, ს. მგალობლიშვილი, მ. მგალობლიშვილი, მ. ხელაძე, კ. მორბედაძე, ლ. ნატროშვილი, კ. ძლიერიშვილი, ალ. სიმონიანი, ა. სიმონიანი, მ. დავრაშელიძე, ნ. ბერიძე, ვ. მგალობლიშვილი, გ. კახნიაშვილი, ლ. დარბაიძე, ა. კანდელაკი, ხ. ცობეხია, თ. მურვანიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

16. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.002.091) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

17. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის ქ. №20-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ლ. ხუხაშვილი).

18. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქ. №10-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – გ. აფრიაშვილი, ლ. აფრიაშვილი).

19. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მოსაშვილის ქ. №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – ლ. ოქროპირიძე).

20. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კავთისხევის ქ. №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

21. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალის №7 კორპუსის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან, ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქ. №70, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.03.005.022. 01.14.03.005.010. 01.14.03.005.013. 01.14.03.005.020) ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ილ. ხავთასი, გ. ჯავშეიშვილი).

22. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილის №41-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – ს. მგალობლიშვილი, მ. მგალობლიშვილი, მ. ხელაძე).

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. გასათვალისწინებელია მისასვლელი გზა.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, თამარაშვილის ქ. №6-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=4,2.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

16. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.002.091) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. კუჭავა. **AR 1178848**
დადგენილი პარამეტრები –კ2=2,2.
მინიჭებული პარამეტრები –კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=2,7.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. მოცულობიდან გამომდინარე მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.002.091) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=2,7.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

17. ლ. ხუხაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის ქ. №20-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. ხუხაშვილი. **AR 1178837**
დადგენილი პარამეტრები –კ2=1,5.
მინიჭებული პარამეტრები –კ2=2,8.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=3,2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის ქ. №20-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,2.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, II რიგი, №14 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.423) საყოფაცხოვრებო ობიექტის (ავტოსერვისი) განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

განხილვის შედეგი:

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი დავით გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2741

" 4 " დეკემბერი 2013 წ.

ქ.თბილისში, ყიფშიძის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.002.091), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 21 ნოემბრის სხდომის №46 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.002.091), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: **კ2=2,7.**

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE96LB0125152101627758.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა